

თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

27.08.2024
N 3950

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ი. ჩიდრაშვილს



თქვენი 2024 წლის 29 ივლისის N6/43251 წერილის პასუხად, ქალაქ სამტრედიის მდებარე 9148 კვ.მ მიწის ნაკვეთის(ს/კ 34.08.58.460) პრივატიზების შესახებ გაცნობებთ რომ, სამომავლოდ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე ნებისმიერი სახის ნაგებობის აშენების შემთხვევაში, აუცილებელია დაცულ იქნას საგაბარიტო ზომები განაპირა ლიანდაგის ღერძიდან არანაკლებ 11 მეტრი. ასევე, ტერიტორიის სიახლოვეს განთავსებულია რკინიგზის საკომუნიკაციო არხი, შესაბამისად ნებისმიერი სახის სამშენებლო პროექტი საჭიროა წინასწარ შეთანხმდეს სს „საქართველოს რკინიგზასთან“. ვინაიდან უცნობია ტერიტორიის გამოყენების სამომავლო პერსპექტივა, დამატებით გაცნობებთ რომ, მასზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების 2.07.01-89 „ქალაქთმშენებლობა“-ს 3.8 და 6.8 პუნქტების, ნავთობპროდუქტების საწყობების სამშენებლო ნორმების და წესების СНиП II-106-79, 12.8 პუნქტის ცხრილი 13-ის, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების НПБ 111-98 ცხრილი 1-ის მიერ დადგენილი პირობები. უძრავ ქონებაზე გავრცელებული სხვა შეზღუდვები დამოკიდებულია განხორციელებული საქმიანობის სახეობაზე და რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობებით, ნორმატიული დოკუმენტებით, სამშენებლო-ტექნიკური ნორმებითა და წესებით, სახანძრო უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური წესების მოთხოვნებით. საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების 2.07.01-89 „ქალაქთმშენებლობა“-ს პუნქტი 6.8-ის მოთხოვნის თანახმად - საცხოვრებელი განაშენიანება საჭიროა გამოცალკევდეს რკინიგზის ხაზებისაგან სანიტარულ-დამცველი ზონებით სიგანით 100 მ., ათვლა ხდება განაპირა სარკინიგზო ლიანდაგის ღერძიდან. იმ შემთხვევაში, როცა რკინიგზის ხაზი განლაგებულია ჭრილში ან ხორციელდება სპეციალური ღონისძიებები ხმაურისგან დასაცავად, რომლებიც უზრუნველყოფენ სამშენებლო ნორმების და წესების II-12-77-ის მოთხოვნებს, - დასაშვებია სანიტარულ-დამცველი ზონის სიგანე შემცირდეს, მაგრამ არა უმეტეს - 50 მეტრით. მითითებული პირობების დაცვის შემთხვევაში, სს „საქართველოს რკინიგზა“ არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ 34.08.58.460 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის განკრგვა კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსი
ნინო ჯორბენაძე

სს „საქართველოს რკინიგზა“
JSC Georgian Railway

ISO 9001:2015

გ № 010178